ეროვნული ვალუტის გაუფასურება და თანმდევი ინფლაციური პროცესები ქართულ ეკონომიკაში

ქეთევან ფირანიშვილი

ნიკოლოზ დარჩიაშვილი

მამუკა ჯინჭარაძე

ჯგუფის #5

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ინფლაცია პირდაპირ კავშირშია ვალუტის გაუფასურებასთან, ანუ ლარის გაუფასურებათან. ლარის გაუფასურება ეკონომიკის განვითარებას სერიოზული პრობლემა უქმნის. საწარმოთა ნაწილი იხურება, ნაწილს კი ბრუნვა უმცირდება. პრობლემა ექმნება მსხვილ ბიზნესსაც.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ფასების მუდმივი ზრდა სრულიადაც არ არის ინფლაციის ერთადერთი ნიშანი. ინფლაცია შეიძლება მოხდეს სტაბილური ფასების დროსაც, თუკი ამავე დროს მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება მოთხოვნას.

ინფლაციური პრობლემა მარტო საქართველოში არ დგას. იგი სერიოზული გამოწვევაა ბევრი ქვეყნისათვის. საქართველოში დღევანდელი მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ფონზე ლარის კურსი, უდავოდ აქტიუალურია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე. სწორედ დღეს, ყველაზე ხშირად, ლარის კურსის ცვლილებების მიზეზებზე და პროგნოზირებაზეა საუბარი.